სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია

სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიას კერძო აღმასრულებელზე გაიცემა სსიპ "აღსრულების ეროვნული ბიუროს" მიერ.

კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური პირი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იყოს ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე;

ბ) ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;

გ) ჩაბარებული ჰქონდეს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით;

დ) ჰქონდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აღჭურვილი სამუშაო ადგილი.

სავალდებულოა კერძო აღმასრულებელს ჰქონდეს სამუშაო ადგილი (ოფისი, ბიურო) და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში.

ლიცენზიის მაძიებელმა სასწრაფო სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განცხადებას, ასევე უნდა დაერთოს:
  - ზემოაღნიშნული „ა"-„დ" პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ გარემოებების არარსებობას, რომლის დროსაც სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია არ გაიცემა ფიზიკურ პირზე. კერძოდ, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია არ გაიცემა იმ ფიზიკურ პირზე:
    - o რომელიც ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ან რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე;
    - o რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე შეწყდა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო;
    - o რომელიც განთავისუფლებულია საჯარო სამსახურიდან ან ნოტარიუსის თანამდებობიდან ანდა რომელსაც შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა დისციპლინური გადაცდომის, კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევის, თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენების ან კორუფციული სამართალდარღვევის გამო;
    - o რომლის საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად;
    - o რომელსაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაუუქმა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია გააუქმა თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე კერძო აღმასრულებლის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე;
    - o რომელიც მოქმედი ნოტარიუსი, ადვოკატი, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირი ან აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორია;
    - o რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამოერთვა სააღსრულებო საქმიანობის უფლება;
    - o რომელსაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაუუქმა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია გააუქმა თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე კერძო აღმასრულებლის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე და ლიცენზიის გაუქმებიდან არ გასულა 1 წელი.

✓ სამუშაო ადგილის მისამართი და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი იმ უძრავი ქონების საკუთრების თაობაზე, სადაც უნდა განთავსდეს კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილი, ან ამ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებაზე.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=122
- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86